ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5820937

ნომერი: AR1880044

თარიღი : 22.02.2022

გაცემის თარიღი : 25.02.2022

გაცნობის თარიღი : 25.02.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი მიროტაძის ქუჩა, N 2ა; ქალაქი თბილისი , მოედანი 26 მაისის , (ნაკვეთი N30/55);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა გვარმიანი პ/ნ 15001025647
- დმანისი წმინდა ნინოს ქ. N 48 ბ. 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
თქვენ მიერ რუკაზე არასწორად არის მონიშნული საპროექტო №01.10.13.030.085 და №01.10.13.030.055 საკადასტრო კოდები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო სამუშაოები დაგეგმილია საკ. კოდით N 01.10.13.030.096-ზე არსებულ ობიექტზე. 20/01/2020წლის № 4816879 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომლის მიხედვით წინამდებარე განაცხადით წარმოდგენილი ფართები წარმოადგენს კომერციული ფუნქციის ფართებს; თქვენ მიერ მოთხოვნილია სლოტ-კლუბის/კაზინოს სარეკლამო აბრის განთავსება, შესაბამისად იცვლება ფართის ფუნქცია. ფუნქციის ცვლილება ვერ განიხილება პირველი კლასის სამუშაოებად. ასევე სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია მოთხოვნილი სამუშაოების განხორციელება.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 22/02/2022 წლის AR1880044 განცხადება ვერ დაკმაყოფილდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.